წინასაარჩევნო მედია მონიტორინგი (თვისებრივი ნაწილი)

19 ივნისი-2 ივლისი 2012

19 ივნისიდან 2 ივლისამდე პერიოდში მედია მონიტორინგის დროს გამოვლენილი <u>ძირითადი მიგნებები</u>:

- თითქმის ყველა არხზე დათმობილი დროის მიხედვით პირველ სამეულში არიან მთავრობა და კოალიცია ქართული ოცნება. ასევე ამ სამეულში სხვადასხვა არხებზე მონაცვლეობით ხვდებიან ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და პრეზიდენტი.
- რეალ ტვ ერთადერთი არხია, რომელმაც ერთ კონკრეტულ სუბიექტს დროის 40 პროცენტზე მეტი დაუთმო, დანარჩენ სუბიექტებს კი - 17 პროცენტზე ნაკლები.
- რუსთავი 2-ზე, იმედსა და რეალ ტვ-ზე პირდაპირი საუბრის ყველაზე მეტი დრო დაუფიქსირდა პრეზიდენტსა და მთავრობას და ერთნაირად ცოტა დრო - კოალიცია ქართულ ოცნებას. ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას, ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა და ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას პირდაპირი საუბრის შედარებით დიდი წილი აქვთ.
- პირველ არხზე, მეცხრე არხზე, კავკასიასა და მაესტროზე მთავრობას დაუფიქსირდა შედარებით ნაკლები პირდაპირი საუბარი, კოალიცია ქართულ ოცნებას კი - შედარებით მეტი.
- პრეზიდენტის დადებითი ტონით გაშუქების 73 პროცენტზე მეტი გამოვლინდა რუსთავი 2-ზე, იმედზე და რეალ ტვ-ზე. ამავე არხებზე ყველაზე მეტი უარყოფითი ტონი დაფიქსირდა კოალიცია ქართული ოცნების მიმართ (23-46 პროცენტი). თუმცა, რეალ ტვ-ზე დემოკრატიულ მოძრაობა - ერთიან საქართველოს 46 პროცენტზე მეტი უარყოფითი ტონი აქვს.
- პირველ არხზე, მაესტროზე და კავკასიაზე პრეზიდენტის მიმართ დაფიქსირდა როგორც დადებითი, ასევე ნეიტრალური და უარყოფითი ტონების მეტ-ნაკლებად დაბალანსებული განაწილება. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამ სამი არხიდან მაესტროსა

და პირველ არხს აქვთ დაახლოებით ერთნაირი განაწილება, სადაც დადებითი ტონი ჭარბობს და უარყოფითი ტონის ერთნაირი წილი (13-13%) გამოვლინდა.

- ჟურნალისტის ტონი ძირითად შემთხვევებში მეტ-ნაკლებად იმეორებს ზოგადი ტონის შეფასებისას მიღებულ შედეგებს. თუმცა აღსანიშნავია, რომ კავკასიისა და პირველი არხზე ჟურნალისტის ტონი უმეტესად ნეიტრალურია.

მეთოდოლოგია და ანალიზი

ტელევიზიების წინასაარჩევნო მედია მონიტორინგი მოიცავს რაოდენობრივ და თვისებრივ კომპონენტებს. რაოდენობრივში შედის სუბიექტებისთვის დათმობილი დრო, პირდაპირი და ირიბი საუბარი და გაშუქების ტონი. თვისებრივი მონიტორინგის კომპონენტები კი არის: ბალანსი, სიზუსტე, ფაქტებზე დაფუძნებული გაშუქება, კადრებით და მუსიკით მანიპულირება.

რაოდენობრივი მონაცემები მოცემულია დიაგრამებზე, რომლებიც ანგარიშს თან ერთვის. დიაგრამებზე სუბიექტებისთვის დათმობილი დრო მოცემულია პროცენტებში. 100 პროცენტად აღებულია მონიტორინგის კონკრეტულ პერიოდში თითოეულ არხზე ყველა სუბიექტისთვის დათმობილი დრო, რაც თითოეული დიაგრამის სათაურშია მითითებული. თუ დიაგრამაზე რომელიმე პოლიტიკური პარტია, რომელიც მონიტორინგის სუბიექტს წარმოადგენს, არ არის წარმოდგენილი, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ პერიოდში ამ არხზე ამ პარტიას დრო საერთოდ არ დაეთმო. ის პარტიები კი, რომლებსაც რამდენიმე წამი/წუთი მაინც დაეთმო, დიაგრამაზე ნაჩვენებია (ხშირად დროის 0 პროცენტით). თითოეულ არხზე კატეგორია სხვაში გაერთიანებულია ის სუბიექტები (პოლიტიკური პარტიების გარდა), რომლებსაც ამ არხზე დროის 1 პროცენტი ან ნაკლები დაეთმო.

პირდაპირი და ირიბი საუბარი ერთმანეთისგან განასხვავებს, სიუჟეტში სუბიექტი თვითონ საუბრობს თუ მასზე საუბრობენ სხვები: ჟურნალისტი ან სხვა რესპონდენტები. დიაგრამებზე პირდაპირი და ირიბი საუბარი მოცემულია პროცენტებში. 100 პროცენტად აღებულია თითოეული სუბიექტისთვის ამ არხზე დათმობილი დრო, რაც დიაგრამებზე მოცემულია სუბიექტების გასწვრივ. ის სუბიექტები, რომლებსაც არხზე ერთ წუთზე ნაკლები დრო დაეთმო, დიაგრამებზე წარმოდგენილი არ არის იმიტომ, რომ არ შექმნას მცდარი სურათი.

გაშუქების ტონი ენიჭება სუბიექტს მაშინ, როცა მასზე საუბრობენ ირიბად და ასევე მაშინ, როდესაც ის თვითონ საუბრობს თავის თავზე, სხვა სუბიექტებზე ან ზოგად საკითხებზე. დიაგრამებზე ნაჩვენებია ტონის სამი კატეგორია: დადებითი (მწვანე), ნეიტრალური (ყვითელი) და უარყოფითი (წითელი). როდესაც ითვლება სუბიექტისთვის დათმობილი დრო, იქვე ხდება დათმობილი დროის ტონის შეფასება. ყურადღება ექცევა როგორც ჟურნალისტის ან რესპონდენტის ტექსტს, ასევე სიუჟეტის მთლიან კონტექსტს.

სუბიექტებისთვის დათმობილი დროის შეფასება ტონების მიხედვით მოცემულია ორგვარად: მოცემულ არხზე სუბიექტებისთვის დათმობილი მთლიანი დროის შეფასება ტონის მიხედვით და ცალკე ჟურნალისტის მიერ სუბიექტების გაშუქების/ხსენების ტონი. გაშუქების ტონი მოცემულია პროცენტებში. პირველ შემთხვევაში 100 პროცენტად აღებულია კონკრეტულ არხზე სუბიექტზე საუბრის დრო მთლიანად და ცალკე ჟურნალისტების მიერ ამ სუბიექტზე საუბრის დრო. სუბიექტები, რომლებსაც თითოეულ შემთხვევაში დაეთმო 1 წუთზე ნაკლები, დიაგრამებზე წარმოდგენილი არ არის, რადგან მცდარი შთაბეჭდილება შეიძლება, შეიქმნას, როცა, ვთქვათ, 2 წამით უარყოფითად ნახსენებ სუბიექტს 100 პროცენტი უარყოფითი ან დადებითი ტონი ექნება.

თვისებრივად მონიტორინგის დროს ყურადღება ექცევა ბალანსს ანუ რამდენად არის სიუჟეტებში წარმოდგენილი გაშუქებული საკითხის გარშემო რამდენიმე განსხვავებული მოსაზრება. ასევე სიზუსტეს, რომლის შესაფასებლადაც მონიტორი აკვირდება, თუ რამდენად შესაბამისია ერთმანეთთან ჟურნალისტის დასკვნა და სიუჟეტში გამოყენებული მასალები (კადრები, რესპონდენტების კომენტარები), არის თუ არა შეცდომები სახელწოდებებში, რიცხვებში, რესპონდენტების ვინაობაში. ხდება დაკვირვება, რამდენად ეხება სიუჟეტი რაიმე კონკრეტულ ფაქტს და არის თუ არა სიუჟეტში მოყვანილი ამ ფაქტის დამადასტურებელი კადრები/კომენტარები.

მონიტორინგი ყურადრებას აქცევს საინფორმაციოებში კადრებითა და მუსიკით მანიპულირების შემთხვევებს. ითვლება, რომ მოახდინეს კადრებითა და მუსიკით მანიპულირება მაშინ, როცა სიუჟეტში გამოყენებული კადრები, ფოტოები ისეა

წარმოდგენილი და თან დაჰყვება ისეთი მუსიკა, რომელიც გარკვეულ განწყობას ქმნის და იწვევს მკვეთრად დადებით ან უარყოფით ასოციაციებს.

ამ კომპონენტებზე დაყრდნობით წარმოდგენილია 19 ივნისიდან-2 ივლისამდე პერიოდის საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგის შედეგები არხების მიხედვით.

პირველი არხი

მონიტორინგის პერიოდში (19 ივნისი-2 ივლისი) პირველ არხზე ყველაზე მეტი დრო დაეთმო კოალიცია ქართულ ოცნებას (25%). აღსანიშნავია, რომ ყველა სხვა სუბიექტს დროის 12 პროცენტზე ნაკლები დაეთმო. დათმობილი დროის მიხედვით პირველ სამეულში კოალიციის გარდა მოხვდა მთავრობა (12%), ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა და ახალი მემარჯვენეები (9-9%). პრეზიდენტს სუბიექტებისთვის დათმობილი საერთო დროის 8 პროცენტი დაეთმო. (იხ. დიაგრამა Time 1)

პირდაპირი და ირიბი საუბრის მხრივ პირველ არხზე კოალიცია ქართულ ოცნებას, ახალ მემარჯვენეებს და ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას აქვს პირდაპირი საუბრის ყველაზე მეტი წილი - 65 პროცენტზე მეტი. დანარჩენ სუბიექტთა უმრავლესობა დათმობილი დროის დაახლოებით ნახევრის განმავლობაში პირდაპირ საუბრობს, მეორე ნახევარი კი - ირიბად. (იხ. დიაგრამა Speech 1)

სუბიექტებისთვის დათმობილი დროის ტონის მიხედვით შეფასებისას აღსანიშნავია, რომ ყველაზე მეტი დადებითი ტონი გამოვლინდა პრეზიდენტის მიმართ (52% დაახლოებით 18 წუთიდან). სხვა სუბიექტებთან შედარებით მთავრობასა და ადგილობრივ თვითმმართველობას დადებითი ტონით გაშუქების მეტი წილი აქვთ (23% და 32%). აქვე აღსანიშნავია, რომ ამ სამი სუბიექტის უარყოფითი ტონიც ყველაზე მეტად გამოვლინდა (პრეზიდენტი 13%, მთავრობა 14% და ადგილობრივი თვითმმართველობა 21%). (იხ. დიაგრამა Tone 1).

რაც შეეხება ჟურნალისტის ტონს, აღსანიშნავია, რომ ადგილობრივ თვითმმართველობას დაუფიქსირდა 40 პროცენტი უარყოფითი ტონი დათმობილი წუთ-ნახევრიდან. უარყოფითი

ტონის ეს წილი მონიტორინგის მოცემულ პერიოდში გასულ რამდენიმე სიუჟეტში დაფიქსირდა. მაგალითად, 29 ივნისის სიუჟეტში „სტიქია წალენჯიხაში“ ჟურნალისტი ამბობს, რომ „მათი [სოფლის მოსახლეობის] თქმით, ადგილობრივ ხელისუფლებას პრობლემის მოსაგვარებლად, რამდენჯერმე მიმართეს, მაგრამ რეაგირება არ მომხდარა... ადგილობრივები ამბობენ, რომ ნაპირსამაგრი სამუშაოების სათანადოდ შესრულების შემთხვევაში დღეს მსგავსი პრობლემის წინაშე არ დადგებოდნენ“. (იხ. დიაგრამა Tone J1)

მონიტორინგი სიუჟეტებს აკვირდება მთლიანობაშიც და აღრიცხავს სიუჟეტების ზოგად შთაბეჭდილებას რომელიმე სუბიექტის მიმართ. აღსანიშნავია, რომ პირველ არხზე სიუჟეტები უმეტესად ნეიტრალურ შთაბეჭდილებას ტოვებს სიუჟეტში წარმოდგენილი სუბიექტების მიმართ. თუმცა, იყო რამდენიმე შემთხვევა, როცა პრეზიდენტი და თბილისის მერი მთლიანობაში დადებითად წარმოჩინდნენ (25 ივნისი, 19 ივნისი). ასევე აღსანიშნავია რამდენიმე შემთხვევა, როცა ადგილობრივი თვითმმართველობა უარყოფითად იყო წარმოჩენილი (23 ივნისი).

სიუჟეტში წარმოდგენილი რესპონდენტების მხრივ, პირველ არხზე სიუჟეტები ძირითადად დაბალანსებულია და წარმოდგენილია სხვადასხვა მოსაზრება გაშუქებული საკითხის გარშემო. თუმცა, იშვიათად სიუჟეტში მაინც შეინიშნება ბალანსის ნაკლებობა. მაგალითად, 19 ივნისის სიუჟეტში „ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე“ არ არის წარმოდგენილი სამშენებლო კომპანიების წარმომადგენლის კომენტარი.

რაც შეეხება სიუჟეტში ჟურნალისტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის ფაქტებით (რესპონდენტის კომენტარი, კადრები, გაჟღერებული ინფორმაციის წყაროს მითითება) გამყარებას, პირველ არხზე თითქმის ყოველთვის მოცემულია ასეთი ფაქტები. აღსანიშნავია 23 ივნისის სიუჟეტი „დაყადაღებული კომპანია“, რომელშიც სიუჟეტის დასასრულს ჟურნალისტმა წარმოადგინა სამართლიანი არჩევნების პოზიცია. თუმცა, არ იყო ნაჩვენები ამ ორგანიზაციის წარმომადგენელი და ჟურნალისტს არც ის უხსენებია, საიდან მოიპოვა ინფორმაცია მათი პოზიციის შესახებ - სატელეფონო კავშირით თუ რაიმე სხვა წყაროდან.

რუსთავი 2

რუსთავი 2-ზე 19 ივნისიდან 2 ივლისამდე პერიოდში დათმობილი დროის მიხედვით პირველ სამეულში მოხვდნენ პრეზიდენტი, კოალიცია ქართული ოცნება და მთავრობა. განსხვავება პროცენტულ განაწილებას შორის მხოლოდ თითო-თითო პროცენტია (პრეზიდენტი 20%, კოალიცია ქართული ოცნება 19%, მთავრობა 18%. ყველა დანარჩენ სუბიექტს კი 9 პროცენტი (მხოლოდ ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას) ან ამაზე ნაკლები დაეთმო (იხ. დიაგრამა Time 2).

პირდაპირი და ირიბი საუბრის მხრივ საინტერესოა, რომ პრეზიდენტი, რომელსაც 54 წუთი დაეთმო, ამ დროის თითქმის სამი მეოთხედის განმავლობაში (70%) თვითონ საუბრობდა. კოალიცია ქართულ ოცნებას კი დაახლოებით იგივე დრო დაეთმო (51 წუთი), თუმცა, პირდაპირი საუბრის მხოლოდ 30 პროცენტი ჰქონდა. (იხ. დიაგრამა Speech 2)

ეს ტენდენცია თვისებრივი მონიტორინგის დროსაც გამოიკვეთა. მაგალითად, 26 ივნისის სიუჟეტში „აქცია საქართველოს სახელით“, რომელიც გაგრძელდა 6 წთ და 5 წამი, პრეზიდენტი საუბრობდა 5 წუთისა და 42 წამის განმავლობაში. იმავე დღის სიუჟეტიც „ნიჭიერი 2012“, თითქოს კონკურსის გამარჯვებულს ეძღვნებოდა. თუმცა, პრეზიდენტის ნაწილიც საკმაოდ ხანგრძლივი იყო - 1 წთ 22 წმ და 25 წამის განმავლობაში სააკაშვილი ჩანდა კიდეც (სიუჟეტის საერთო დრო 6 წუთი და 44 წამი).

პირდაპირი საუბრის დიდი წილი (70 პროცენტზე მეტი) აქვთ: ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, ადგილობრივ თვითმმართველობას და ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას (იხ. დიაგრამა Speech 2).

სუბიექტებისთვის დათმობილი დროის ტონით შეფასებას რაც შეეხება, აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტისთვის დათმობილი თითქმის ერთი საათიდან 81 პროცენტი დადებითი ტონით შეფასდა და მხოლოდ 16 პროცენტი ნეიტრალური ტონით. მთავრობასაც დადებითი ტონის დიდი წილი დაუფიქსირდა (54%). ადგილობრივი თვითმმართველობა ჯამში დათმობილი თითქმის 9 წუთის 83 პროცენტის განმავლობაში დადებითად გაშუქდა. უარყოფითი ტონით გაშუქების ყველაზე დიდი წილი კოალიცია ქართულ ოცნებას დაუფიქსირდა - თითქმის ერთსაათიანი გაშუქებიდან 36 პროცენტი უარყოფითი ტონი. (იხ. დიაგრამა Tone 2)

რაც შეეხება ჟურნალისტის ტონის მიხედვით სუბიექტებისთვის დათმობილ დროს, დაახლოებით იგივე სურათია. პრეზიდენტს, მთავრობას და ადგილობრივ თვითმმართველობას ყველაზე მეტი დადებითი ტონი აქვთ (პრეზიდენტი 44%, მთავრობა 30%, ადგილობრივი თვითმმართველობა 28%), ქართულ ოცნებას კი - 40 პროცენტი უარყოფითი ტონი. (იხ. დიაგრამა Tone J2).

ზოგად შთაბეჭდილებას რაც შეეხება, რუსთავი 2-ის სიუჟეტებში ხშირია როგორც ნეიტრალური, ასევე დადებითი და უარყოფითი შთაბეჭდილება სუბიექტების მიმართ. აღსანიშნავია, რომ 19 ივნისიდან 2 ივლისამდე პერიოდში დადებითი საერთო შთაბეჭდილება სიუჟეტებში ძირითადად იქმნებოდა პრეზიდენტისა და თბილისის მერის, გიგი უგულავას, მიმართ. მაგალითად, 21 ივნისის სიუჟეტში „შიდა ქართლის გაზიფიცირება“ ნაჩვენებია სააკაშვილი მომღიმარ ბავშვებთან ერთად. ისმის ტაში, ჩანს კმაყოფილი სახეები. ჩანს, როგორ ეხუტება სააკაშვილი პატარა ბავშვს. 29 ივნისის სიუჟეტში სამეგრელოში წყალდიდობის შესახებ ნაჩვენებია, თუ როგორ მიაპობს სააკაშვილი წყალს მოქალაქესთან ერთად.[1] თუმცა, რამდენიმე სიუჟეტში პრეზიდენტი და ხელისუფლება წარმოჩინდა უარყოფითად (19 ივნისს სიუჟეტში „ლეიბორისტების პროტესტი“; 26 ივნისს სიუჟეტში „კახა კუკავას ბრიფინგი“). უარყოფითი შთაბეჭდილება ასევე ხშირია ბიძინა ივანიშვილისა და კოალიცია ქართული ოცნების წევრების მიმართ.

აღსანიშნავია 20 ივნისის სიუჟეტი „კალაძის საიდუმლო შეხვედრა“, რომელიც მოგვითხრობს კახა კალაძის „ფარულ“ შეხვედრაზე კანონიერ ქურდებთან ევროპის ერთ-ერთი ქალაქის „ფეშენებელურ“ რესტორანში. სიუჟეტის დასაწყისშიც და დასკვნაშიც ჟურნალისტები კალაძის შეხვედრას მაყურებელს ისე აწვდიან, როგორც ფაქტს. თუმცა, სიუჟეტიდან არ ჩანს, რა არის ინფორმაციის წყარო. ჟურნალისტი რამდენჯერმე იმეორებს ფრაზას „რუსთავი 2-ის ინფორმაციით“. ნაჩვენებია რესტორანში გადაღებული კადრები, სადაც ბუნდოვნად ჩანს კახი კალაძე, მაგრამ არ ჩანს არცერთი კანონიერი ქურდი, რომლის შესახებაც შემდეგ ყვება ჟურნალისტი. კანონიერი ქურდების შესახებ მოწოდებული დოსიე და კადრები ძალიან

[1] იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=EjX9-nJjlaA&feature=youtu.be

უარყოფით შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებელზე, თუმცა კავშირი კალაძესთან არაფრით მტკიცდება. ჟურნალისტი კალაძის დასწრებას „ფარულ“ შეხვედრაზე იმით ამყარებს, რომ ის ავიაკომპანია ლუფთანზას რეისით 12 ივნისს საქართველოდან გაფრინდა და 14 ივნისს დაბრუნდა. თუმცა, არც ამ ინფორმაციის დამადასტურებელი წყაროა მოყვანილი. სიუჟეტში წარმოდგენილია 3 რესპონდენტი: ვიქტორ დოლიძე, ეკა ბესელია, ვახტანგ ხმალაძე. არც ერთი მათგანი არ ადასტურებს შეხვედრის ფაქტს და კალაძის კავშირს კანონიერ ქურდებთან. სიუჟეტის ბოლოს კალაძე ასევე უარყოფითად ნახსენებია იტალიური საფეხბურთო სკანდალის კონტექსტში და ნავარაუდევია, რომ შეხვედრის ერთ-ერთი თემა ეს სკანდალია. სიუჟეტში გამოყენებული კადრებიცა და გადმოცემული ინფორმაციაც საერთო ჯამში ძალიან უარყოფით შთაბეჭდილებას ტოვებს კახი კალაძეზე, რომელიც ნახსენებია, როგორც ქართული ოცნების ერთ-ერთი ლიდერი და მაჟორიტარობის კანდიდატი. თუმცა, მთელი ეს ინფორმაცია არ არის გამყარებული ფაქტებით.[2]

რუსთავი 2-ზე სიუჟეტები წარმოდგენილი წყაროების მიხედვით ხან დაბალანსებულია, ხან - არა. მაგალითად, 21 ივნისის სიუჟეტში „სასამართლო გადაწყვეტილება“ არ არის ნაჩვენები ქართული ოცნების წარმომადგენელთა კომენტარები.

რაც შეეხება შეუსაბამობას ჟურნალისტის ნათქვამსა და სიუჟეტში წარმოდგენილი რესპონდენტების კომენტარებსა და ვიზუალურ მასალას შორის, გვხვდება სიუჟეტები, სადაც ეს შეუსაბამობები კარგად ჩანს. მაგალითად, 26 ივნისის საკმაოდ ვრცელი სიუჟეტი ბაგრატის ტაძრის რესტავრაციის შესახებ, სადაც სიუჟეტის ბოლოს ჟურნალისტი ამბობს: „იუნესკოს ერთ-ერთმა ექსპერტმა საკმაოდ ზერელე და არაკვალიფიციური დასკვნა მოამზადა მის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით...“ თუმცა, სიუჟეტში არც ერთ რესპონდენტს არ შეუფასებია იუნესკოს დასკვნა და არც ჟურნალისტი აკონკრეტებს, ვის ეკუთვნის ასეთი შეფასება. გამოდის, რომ მან საკუთარი მოსაზრება გამოთქვა.

[2] http://www.youtube.com/watch?v=IAMSWo-YFtU&feature=youtu.be

იმედი

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში იმედზე ყველაზე მეტი დრო დაეთმო მთავრობას (21%), პრეზიდენტს (19%) და კოალიცია ქართულ ოცნებას (16%). ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას დაეთმო დროის 10 პროცენტი. დანარჩენ სუბიექტებს კი 6 პროცენტზე ნაკლები. (იხ. დიაგრამა Time 3)

საინტერესოა პირდაპირი და ირიბი საუბრის პროცენტული განაწილება პრეზიდენტისა და კოალიცია ქართული ოცნების შემთხვევაში. პრეზიდენტს დათმობილი დროის 68 პროცენტის შემთხვევაში თვითონ ჰქონდა პირდაპირი საუბრის საშუალება, ხოლო 32 პროცენტის შემთხვევაში მასზე საუბრობდნენ სხვები. მაგალითად, 25 ივნისის სიუჟეტი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან პრეზიდენტის სასახლეში შეხვედრის შესახებ თითქმის 6 წუთი გრძელდებოდა და აქედან 5 წუთისა და 16 წამის განმავლობაში სააკაშვილი საუბრობდა.

კოალიცია ქართული ოცნების შემთხვევაში დროის 29 პროცენტის შემთხვევაში კოალიციის წარმომადგენლები პირდაპირ საუბრობდნენ სიუჟეტებში, 71 პროცენტის შემთხვევაში კი მათ ირიბი საუბარი დაუფიქსირდათ. მთავრობას საათზე მეტი დრო დაეთმო (67 წუთი) და პირდაპირი და ირიბი საუბრის წილი თითქმის თანაბრად გადანაწილდა (43% პირდაპირი და 57% ირიბი) (იხ. დიაგრამა Speech 3).

რაც შეეხება ტონის მიხედვით სუბიექტებისთვის დათმობილი დროის განაწილებას, იმედზე ყველაზე მეტი დადებითი გაშუქების დრო აქვთ პრეზიდენტს (74%), მთავრობას (60%) და ადგილობრივ თვითმმართველობას (58%). მაგალითად, 30 ივნისის სიუჟეტში „მერაბიშვილი - ახალი პრემიერი“ ჟურნალისტი ამბობს: „შეიძლება ითქვას, რომ მერაბიშვილი იყო მიხეილ სააკაშვილის მთავრობის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მინისტრი“.

სხვა სუბიექტების მიმართაც გამოვლინდა დადებითი ტონის შედარებით დიდი წილი: პარლამენტი (25%), ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (16%), ახალი მემარჯვენეები (17%) და ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა (15%). ამ ოპოზიციური პარტიებისგან განსხვავებით, კოალიცია ქართულ ოცნებას, რომელსაც პარტიებს შორის ყველაზე მეტი დრო დაეთმო,

ყველაზე ნაკლები დადებითი ტონი (2%) და ყველაზე მეტი უარყოფითი ტონი (23%) დაუფიქსირდა. (იხ. დიაგრამა Tone 3) მაგალითად, 28 ივნისის სიუჟეტში „ამომრჩეველთა მოსყიდვის ფაქტები: ფინანსური მაქინაციები, გაშიფრული სქემა“ ჟურნალისტი ამბობს: „ბიძინა ივანიშვილის გეგმამ, მოესყიდა ამომრჩეველი, არც ამჯერად გაამართლა. ქართული ოცნების ლიდერის და ვანო ჩხარტიშვილის ერთობლივი სქემა საქართველოს პროკურატურამ გაშიფრა“.

იმედზე სუბიექტებისთვის დათმობილი დროის განაწილება ჟურნალისტის ტონის მიხედვით მსგავს სურათს ქმნის: ყველაზე მეტი დადებითო ტონი აქვს პრეზიდენტს (29%), მთავრობას (27%), ადგილობრივ თვითმმართველობას (19%), პარლამენტს (9%). ხოლო ყველაზე მეტი უარყოფითი ტონი აქვს კოალიცია ქართულ ოცნებას (24%). (იხ. დიაგრამა Tone J3)

სიუჟეტებზე ზოგად შთაბეჭდილებას რაც შეეხება, აღსანიშნავია, რომ ხშირად სიუჟეტები დადებით შთაბეჭდილებას ქმნის პრეზიდენტის, თბილისის მერისა და პარლამენტის თავმჯდომარის მიმართ. ასევე საკმაოდ ხშირია ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის შესახებ დადებითი შინაარსის მქონე სიუჟეტები.

მაგალითად, 19 ივნისის სიუჟეტში „ქდმ ბავშვთა ცენტრში“ ნაჩვენებია ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის წარმომადგენლების ვიზიტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა ცენტრში. სიუჟეტის შინაარსიცა და კადრებიც დადებით შთაბეჭდილებას ტოვებს ამ პარტიაზე.

სიუჟეტები მათში წარმოდგენილი რესპონდენტების მიხედვით ზოგჯერ დაბალანსებულია და ზოგჯერ - არა. აქედან გამომდინარე, ამ პერიოდისთვის რაიმე ტენდენციის გამოყოფა რთულია.

რაც შეეხება შეუსაბამობას ჟურნალისტის დასკვნასა და სიუჟეტში წარმოდგენილ ფაქტებს შორის, რამდენიმე შემთხვევა გამოვლინდა. მაგალითად, 27 ივნისის სიუჟეტში „ვისია ქართუ ბანკი? რატომ უარყოფს ივანიშვილი კავშირს ‘ქართუსთან’?“ ჟურნალისტი ამბობს, რომ

ივანიშვილმა ქართუ ბანკთან კავშირი უარყო. ხოლო შემდეგ ნაჩვენებ ინტერვიუში ივანიშვილი ამბობს, რომ თავისი წილი ქართუ ბანკში თავის შვილს გადაუფორმა.

აღსანიშნავია, რომ 30 ივნისს მე-13 სიუჟეტად გავიდა ზუსტად იგივე, რაც იყო პირველი სიუჟეტი. სათაურიც იგივე ჰქონდა - „მერაბიშვილი - ახალი პრემიერი: ცვლილებები საქართველოს მთავრობაში“ და ძირითადად არაფრით განსხვავდებოდა, არც სააკაშვილისა და მერაბიშვილის სიტყვა იყო განსხვავებული, არც შემდგომ ჩამოთვლილი მერაბიშვილის მიღწევები. ერთადერთი ამ შემთხვევაში სიუჟეტის ბოლოს დამატებული იყო ოპოზიციის წარმომადგენლების კომენტარები.

მაესტრო

მაესტროზე ყველაზე მეტი დრო დაეთმო მთავრობას - 26 პროცენტი. მეორე და მესამე ადგილას დათმობილი დროის მიხედვით კოალიცია ქართული ოცნება (17%) და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (13%) მოხვდნენ. მეოთხე ადგილას პრეზიდენტი დგას 11 პროცენტით. ყველა დანარჩენ სუბიექტებს დროის 6 პროცენტი ან ნაკლები დაეთმო (იხ. დიაგრამა Time 4).

მაესტროზე პირდაპირ და ირიბ საუბარზე დაკვირვებით გამოვლინდა, რომ იმ ოთხ სუბიექტთაგან, რომელთაც ყველაზე მეტი დრო დაეთმო, პირდაპირი საუბრის ყველაზე მეტი წილი (56%) აქვს პრეზიდენტს და ყველაზე ნაკლები - მთავრობას (25%). მაგალითად, 25 ივნისის სიუჟეტი „შეხვედრა რეზიდენციაში“ მთლიანობაში 2 წუთსა და 19 წამს გაგრძელდა და აქედან ერთ-ნახევარი წუთის განმავლობაში პრეზიდენტი საუბრობდა. ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას აქვს ყველაზე მეტი პირდაპირი საუბრის დრო (80%). თუმცა, აღსანიშნავია, რომ მას ამ არხზე მხოლოდ 5 წუთი დაეთმო. (იხ. დიაგრამა Speech 4)

რაც შეეხება სუბიექტებისთვის დათმობილი დროის შეფასებას ტონის მიხედვით, საინტერესოა, რომ მაესტროზე ყველაზე მეტი დადებითი ტონი (45%) აქვს პრეზიდენტს. ამის ერთ-ერთი მაგალითია სიუჟეტი წალენჯიხაში წყალდიდობაზე, სადაც ჟურნალისტმა აღნიშნა, რომ „წყალდიდობის გამო მიხეილ სააკაშვილმა ბაქოში ვიზიტიც შეწყვიტა და

ქვეყანაში დაბრუნდა“. პრეზიდენტს დადებითი და ნეიტრალური ტონის დაახლოებით ერთნაირი წილი აქვს (45% დადებითი და 42% ნეიტრალური), ხოლო უარყოფითი - 13 პროცენტი. მთავრობას დადებითი და უარყოფითი ტონის მსგავსი წილი აქვს (21% დადებითი და 23% უარყოფითი). ყველაზე მეტი უარყოფითი ტონი გამოვლინდა სიების დაზუსტებისა და უზრუნველყოფის კომისიისა (26%) და ადგილობრივი თვითმმართველობის (20%) მიმართ. (იხ. დიაგრამა Tone 4)

რაც შეეხება ჟურნალისტის ტონის მიხედვით სუბიექტებისთვის დათმობილ დროს, ძირითადად ჟურნალისტი სუბიექტებზე ნეიტრალური ტონით საუბრობს. ყველაზე მეტი უარყოფითი ტონი გამოვლინდა რამდენიმე სუბიექტის მიმართ: მთავრობა (27%), ადგილობრივი თვითმმართველობა (16%), სიების დაზუსტებისა და უზრუნველყოფის კომისიისა (13%). (იხ. დიაგრამა Tone J4)

სიუჟეტებზე დაკვირვებისას ზოგადი შთაბეჭდილებით იგივე სურათია, რაც რაოდენობრივი შედეგებით გამოვლინდა. სიუჟეტები მთავრობისა და ხელისუფლების შესახებ ძირითადად ნეგატიურ ჭრილშია წარმოდგენილი. დანარჩენ შემთხვევებში ზოგადი შთაბეჭდილება ძირითადად ნეიტრალურია.

მაესტროზე სიუჟეტში წარმოდგენილი რესპონდენტების მხრივ სიუჟეტები ზოგჯერ დაბალანსებულია და ზოგჯერ - დაუბალანსებელი. ამ მხრივ მოცემული პერიოდის მიხედვით რაიმე კონკრეტული ტენდენციის გამოყოფა რთულია. თუმცა, აღსანიშნავია, რომ დაუბალანსებელი სიუჟეტები ძირითადად ისეთ საკითხებს ეხება, სადაც აშკარაა კონტროლის პალატის წარმომადგენლების კომენტარის საჭიროება.

მაესტროზე ასევე გამოვლინდა შემთხვევები, როცა ჟურნალისტის ნათქვამი არ შეესაბამება სიუჟეტში წარმოდგენილი რესპონდენტების კომენტარებს ან ვიზუალურ მასალას. მაგალითად, 25 ივნისის სიუჟეტში ბაქრაძისა და უგულავას შეხვედრაზე მცირე ბიზნესის წარმომადგენლებთან კლუბ ტრიუმფში ჟურნალისტმა აღნიშნა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებმა არაერთხელ გაავრცელეს განცხადება, რომ მმართველი გუნდი ვერ მიჯნავს ხელისუფლებისა და პარტიულობის ცნებებს. თუმცა, სიუჟეტში არ აჩვენეს არც ეს

განცხადება და არც ინტერვიუ, რომელიც დაადასტურებდა ჟურნალისტის ნათქვამს. არც იმის დაკონკრეტება ხდება, თუ რომელი არასამთავრობო ამბობს ამას. ჟურნალისტი აქვე აჟღერებს ხელისუფლების წევრების პასუხს ამ არასამთავრობოების განცხადებაზე და არც ამის დამადასტურებელი მასალაა ნაჩვენები.

25 ივნისის სიუჟეტში „ატმის მოსავალი“ ჟურნალისტმა აღნიშნა, რომ, გლეხების თქმით, მთავრობა მათ საკონსერვო ქარხნის აშენებას დაპირდა; თუმცა, დაპირება არ შეუსრულებია. მართალია სიუჟეტში რესპონდენტებმა უკმაყოფილება გამოთქვეს წამლების ფასებთან დაკავშირებით, მაგრამ საკონსერვო ქარხანა არავის უხსენებია.

კავკასია

კავკასიაზე ყველაზე მეტი დრო დაეთმო კოალიცია ქართულ ოცნებას - 25 პროცენტი. მეორე და მესამე ადგილები მთავრობამ (17%) და ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ (15%) დაიკავა. დანარჩენ სუბიექტებს 7 პროცენტი ან ნაკლები დაეთმო. მათ შორის, პრეზიდენტს - მხოლოდ 5 პროცენტი. (იხ. დიაგრამა Time 5).

პირდაპირი და ირიბი საუბრის პროცენტული განაწილების მიხედვით აღსანიშნავია, რომ ის სუბიექტებიდან, რომლებსაც დათმობილი დროის მიხედვით პირველ სამეულში მოხვდნენ, ყველაზე ნაკლები პირდაპირი საუბრის წილი აქვს მთავრობას (26%). კოალიცია ქართულ ოცნებას და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას კი პირდაპირი საუბრის მსგავსი პროცენტი აქვთ (45% და 52%). ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას დათმობილი 11 წუთიდან 72 პროცენტი პირდაპირი საუბრის წილი აქვს. (იხ. დიაგრამა Speech 5)

სუბიექტებისთვის დათმობილი დროის ტონით შეფასებისას აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტისთვის დათმობილი დრო მეტ-ნაკლებად თანაბრად განაწილდა დადებით, ნეიტრალურ და უარყოფით ტონებს შორის (35% დადებითი, 43% ნეიტრალური და 22% უარყოფითი). კოალიცია ქართულ ოცნებას თანაბარი რაოდენობის დადებითი და

უარყოფითი ტონით გაშუქება დაუფიქსირდა (9-9%). მთავრობის მიმართ აღინიშნა უარყოფითი ტონის შედარებით დიდი წილი - 20 პროცენტი. (იხ. დიაგრამა Tone 5)

ჟურნალისტის ტონის მიხედვით სუბიექტებისთვის დათმობილი დროის განაწილება შემდეგ სურათს აჩვენებს. ჟურნალისტი ძირითადად ნეიტრალური ტონით საუბრობს სუბიექტებზე, თუმცა, რიგ სუბიექტებს უარყოფითი ტონით ახსენებს: ერთიან ნაციონალურ მოძრაობას (10%), მთავრობას (8%), კოალიცია ქართულ ოცნებას (6%), კონტროლის პალატასა (5%) და პრეზიდენტს (4%). (იხ. დიაგრამა Tone J5).

ზოგადი შთაბეჭდილება კავკასიის სიუჟეტებიდან იმეორებს რაოდენობრივი მონიტორინგის შედეგებს. ძირითადად სიუჟეტები ნეიტრალურია. პრეზიდენტის ისევე, როგორც კოალიცია ქართული ოცნების მიმართ ზოგადი შთაბეჭდილება ხან დადებითი რჩება, ხან - უარყოფითი.

კავკასიაზე სიუჟეტები წარმოდგენილი რესპონდენტების მხრივ მეტ-ნაკლებად დაბალანსებულია. გამოვლინდა რამდენიმე შემთხვევა, როცა სიუჟეტებში შეიმჩნევა ხელისუფლების წარმომადგენლების კომენტარების ნაკლებობა (21 ივნისი, 23 ივნისი, 29 ივნისი)

რაც შეეხება შეუსაბამობას ჟურნალისტის დასკვნასა და სიუჟეტში წარმოდგენილ მასალას შორის, საინტერესოა 22 ივნისის პირველი და მეექვსე სიუჟეტები (გლობალ ტვ-ს დაყადაღებისა და „მასთ ქერიზე“ ბაქრაძის ინიციატივის შესახებ). ორივე სიუჟეტში გამოყენებულია სახალხო დამცველის, გიორგი ტუღუშის, ინტერვიუ. პირველ სიუჟეტში ჟურნალისტმა აღნიშნა, რომ გიორგი ტუღუში გლობალ ტივის საწყობებში პოლიციის შესვლის ფაქტს გამოეხმაურა. ხოლო მეექვსე სიუჟეტში, ჟურნალისტის თქმით, ტუღუში პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებას გამოეხმაურა. ორივე სიუჟეტში კომენტარის ზუსტად ერთი და იგივე ნაწილია ნაჩვენები. საერთო ჯამში, გაუგებარია, რომელ საკითხს ეხება ტუღუშის კომენტარი. ამასთან, ორივე შემთხვევაში ჟურნალისტი აღნიშნავს, რომ, ტუღუშის თქმით, ხელისუფლებამ განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს მედიასთან დაკავშირებულ საკითხებში. გიორგი ტუღუშს კი ინტერვიუში ხელისუფლება არ

უხსენებია. მან უბრალოდ აღნიშნა, რომ განსაკუთრებული სიფრთხილეა გამოსაჩენი ნებისმიერი მხარის მიერ.

მეცხრე არხი

მეცხრე არხზე ყველაზე მეტი დრო დაეთმო მთავრობას - 27 პროცენტი, კოალიცია ქართულ ოცნებას - 21 პროცენტი და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას - 15 პროცენტი. პრეზიდენტს სუბიექტებისთვის დათმობილი დროის 11 პროცენტი დაეთმო და პარლამენტს - 8 პროცენტი. დანარჩენ სუბიექტებს კი 4 პროცენტზე ნაკლები. (იხ. დიაგრამა Time 6)

პირდაპირი და ირიბი საუბრის პროცენტული განაწილება საინტერესო სურათს ქმნის. სუბიექტებს, რომლებსაც 10 წუთზე მეტი დრო დაეთმო (ანუ პირველ ხუთეულს), ყველას მეტ-ნაკლებად თანაბარი პირდაპირი საუბრის წილი აქვს (44-დან 34 პროცენტამდე). მხოლოდ მთავრობას, რომელსაც ყველაზე მეტი დრო დაეთმო - 46 წუთი, ყველაზე ნაკლები პირდაპირი საუბრის საშუალება ჰქონდა - მხოლოდ 19 პროცენტი. (იხ. დიაგრამა Speech 6)

სუბიექტების გაშუქების ტონის მხრივ საინტერესოა, რომ მთავრობასა და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას უარყოფითი ტონის თანაბარი წილი დაუფიქსირდა (24-24%) იმ განსხვავებით, რომ მთავრობის მიმართ 3 პროცენტი დადებითი ტონიც გამოვლინდა, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიმართ კი დადებითი ტონი საერთოდ არ გამოვლენილა. ადგილობრივ თვითმმართველობას აქვს ყველაზე მეტი წილი უარყოფითი ტონისა (43%); თუმცა, მას სულ 6 წუთი დაეთმო. ხოლო პრეზიდენტს, რომელსაც დაახლოებით 20 წუთი დაეთმო, 34 პროცენტი აქვს უარყოფითი ტონით გაშუქება და 10 პროცენტი დადებითი ტონი. კოალიცია ქართული ოცნების შემთხვევაში ძირითადად გაშუქება ნეიტრალური იყო, მხოლოდ 4 პროცენტი უარყოფითი ტონი გამოვლინდა. (იხ. დიაგრამა Tone 6)

ჟურნალისტის ტონის მიხედვით სუბიექტებისთვის დათმობილი დროის განაწილება აჩვენებს, რომ ამ არხზეც ჟურნალისტები უმეტესად ნეიტრალური ტონით საუბრობენ სუბიექტებზე, მაგრამ უარყოფითი ტონის წილიც საკმაოდ დიდია ისეთი სუბიექტების მიმართ, როგორებიცაა: მთავრობა (20% დაახლოებით 27 წუთიდან), პრეზიდენტი (31% 7 წუთიდან), ადგილობრივი თვითმმართველობა (45% 3 წუთიდან) და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (26% 11 წუთიდან). პრეზიდენტის მიმართ ასევე დაფიქსირდა 6 პროცენტი დადებითი ტონი. (იხ. დიაგრამა Tone J6)

თვისებრივი მონიტორინგის დროს სიუჟეტების ზოგად შთაბეჭდილებაზე დაკვირვების შედეგად მეცხრე არხზე გამოიკვეთა ტენდენცია, რომ სიუჟეტებში პრეზიდენტი, მთავრობა, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები უმეტეს შემთხვევებში უარყოფით ან ძალიან უარყოფით კონტექსტში არიან გაშუქებული. უარყოფით შთაბეჭდილებას ქმნის როგორც სიუჟეტში რესპონდენტების მიერ გაკეთებული კომენტარები, ასევე თვითონ ჟურნალისტების უარყოფითი ტექსტიც. 22 ივნისის სიუჟეტში „მასთ ქერის“ შესახებ ჟურნალისტი ამბობს: „სატელიტურ თეფშებზე გამოცხადებული ნადირობის შემდეგ, მმართველი პარტია ინფორმირებული არჩევანის აუცილებლობაზე ალაპარაკდა“. 29 ივნისის სიუჟეტში „დაკარგული მიწები: უმიწოდ დარჩენილ სოფელს შიმშილობა ემუქრება“ კი, ჟურნალისტის თქმით: „სამართლის პოვნა სოფლელებმა პრეზიდენტის კარზეც სცადეს, თუმცა მათი მცდელობა გამგებლის მუქარამ ჩაშალა“.

თუმცა, აღსანიშნავია 29 ივნისის გამოშვებაში გასული სიუჟეტი „სტიქია წალენჯიხაში“, სადაც პერზიდენტი დადებითად არის წარმოჩენილი. აღნიშნულია, რომ პრეზიდენტმა სტიქიის გამო შეწყვიტა ვიზიტი აზერბაიჯანში. ნაჩვენებია კადრები, სადაც პრეზიდენტი მოსახლეობას ხვდება, ეხუტება ატირებულ ქალბატონს და შემდეგ იძლევა დაპირებებს, რომ ყველაფერი აღდგება. მიუხედავად იმისა, რომ სიუჟეტის ზოგადი შთაბეჭდილება მთლიანობაში დადებითია, ნაჩვენებია ის კადრი, როდესაც სააკაშვილი ცდილობს, შევიდეს წყალში, წაბორძიკდება და აღარ შედის. აღსანიშნავია, რომ ამ თემაზე მომზადებულ სიუჟეტებში სხვა არხებმა გაუშვა პრეზიდენტის წყალში გასვლის კადრები. მეცხრე არხზე კი მხოლოდ ეს ნაწილი აჩვენეს (წაბორძიკება). აქვე აღსანიშნავია, რომ იგივე სიუჟეტში

პოლიცია საკმაოდ უარყოფითად არის წარმოჩენილი. ნათქვამია, რომ ისინი ხელს უშლიდნენ ჟურნალისტებს მუშაობაში, გადაკეტეს გზა და არ მისცეს საშუალება, რომ გადაეღოთ პრეზიდენტის მთლიანი ვიზიტი. ნაჩვენებია კადრი, სადაც ჟურნალისტი მიდის უკვე დაძრულ მანქანასთან და ეკითხება, თუ რატომ გადაკეტეს გზა სპეციალურად. თუმცა, გზა გადაკეტილი არ არის.[3]

მეცხრე არხზე, ხშირ შემთხვევაში, ასევე უარყოფითად შუქდება სიების დაზუსტებისა და უზრუნველყოფის კომისია (სია). რაც შეეხება ოპოზიციურ პარტიებს, ისინი უმეტესად ნეიტრალურ კონტექსტში შუქდებიან. ხანდახან შესამჩნევია კოალიცია ქართული ოცნების მიმართ დადებითი ზოგადი შთაბეჭდილება.

რაც შეეხება სხვადასხვა მოსაზრებების მქონე რესპონდენტებს, ამ მხრივ სიუჟეტების უმრავლესობა დაბალანსებულია. აღსანიშნავია, რომ უმეტეს შემთხვევაში სიუჟეტებში არ არის წარმოდგენილი მმართველი გუნდისა და მთავრობის წარმომადგენლების კომენტარები, როდესაც სიუჟეტში განხილულია მათთვის რელევანტური საკითხი. თუმცა, ჟურნალისტები ხშირად განმარტავენ, რომ კონკრეტულ რესპონდენტთან დაკავშირება ვერ მოხერხდა ან მან უარი განაცხადა კომენტარზე.

მეცხრე არხის სიუჟეტებში გვხვდება რამდენიმე შემთხვევა, როცა ჟურნალისტის ნათქვამი არაა გამყარებული სიუჟეტში წარმოდგენილი რესპონდენტების კომენტარებით ან ვიზუალური მასალით. მაგალითად, 2 ივლისის სიუჟეტში „პრემიერის გეგმა - ვანო მერაბიშვილმა დასაქმების მინისტრი წარადგინა“ ჟურნალისტის თქმით, დასაქმების მინისტრის კანდიდატი არის სამშენებლო კომპანიის მფლობელი, რომელმაც ააშენა ანაკლიის ხიდი და ქუთაისის პარლამენტი. თუმცა, ამის დამადასტურებელი ფაქტი არაა მოყვანილი სიუჟეტში და არც რომელიმე წყარო აღნიშნავს ამას.

[3] სიუჟეტი იხილეთ შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=aiZ_r1q3uro&feature=youtu.be

რეალ ტვ

რეალ ტვ-ზე ყველაზე მეტი დრო დაეთმო კოალიცია ქართულ ოცნებას - 45 პროცენტი. რეალ ტვ ერთადერთი არხია, რომელმაც სუბიექტებისთვის დათმობილი დროის 40 პროცენზე მეტი დაუთმო ერთ რომელიმე სუბიექტს. დათმობილი დროის მიხედვით პირველ სამეულში ასევე მოხვდნენ პრეზიდენტი (17%) და მთავრობა (9%). დანარჩენ სუბიექტებს კი 5 პროცენტი ან ნაკლები დრო დაეთმოთ (იხ. დიაგრამა Time 7).

საინტერესოა, რომ პირდაპირი და ირიბი საუბრის პროცენტული განაწილების მიხედვით, კოალიცია ქართულ ოცნებას აქვს პირდაპირი საუბრის ყველაზე დაბალი პროცენტული მაჩვენებელი (26% დაახლოებით საათ-ნახევრიდან). პირდაპირი საუბრის იგივე პროცენტული მაჩვენებელი აქვს დემოკრატიულ მოძრაობა - ერთიან საქართველოს იმ განსხვავებით, რომ მას მხოლოდ 9 წუთი დაეთმო. პრეზიდენტსა და მთავრობას პირდაპირი საუბრის წილი 55 პროცენტზე მეტი აქვს, ერთიან ნაციონალურ მოძრაობას კი 84 პროცენტი. (იხ. დიაგრამა Speech 7) ხშირია სიუჟეტები, სადაც ჭარბობს პრეზიდენტის საუბარი. მაგალითად, 20 ივნისის სიუჟეტი „ახალი საცურაო აუზი“ - თითქმის 6 წუთიან სიუჟეტში სამ წუთ-ნახევარი დაეთმო სააკაშვილის საუბარს. 21 ივნისის სიუჟეტი „პრეზიდენტი ოსიაურში“ – ექვს-ნახევარი წუთიდან 4 წუთ-ნახევარი დაეთმო პრეზიდენტის პირდაპირ საუბარს. ამასთან, 28 წამის განმავლობაში პრეზიდენტი ჩანდა, ხოლო 32 წამის განმავლობაში ჟურნალისტი საუბრობდა მასზე.

სუბიექტების გაშუქების ტონის შედეგები მონიტორინგის რაოდენობრივ და თვისებრივ ნაწილში ერთმანეთს ემთხვევა. ყველაზე მეტი უარყოფითი ტონის გაშუქება ბიძინა ივანიშვილსა და კოალიცია ქართულ ოცნებაში შემავალ პარტიებს აქვთ, რაც ჯამში 46 პროცენტს შეადგენს. ივანიშვილის უარყოფითი გაშუქების ერთ-ერთი კარგი მაგალითია 26 ივნისის სიუჟეტი „სად ისვენებდა ბიძინა ომის დროს“, სადაც კადრებითა და ჟურნალისტის ტექსტით ხაზს უსვამენ კონტრასტს ერთის მხრივ ომთან დაკავშირებულ უბედურებასა და ივანიშვილის მიერ ზღვის პირას დასვენებას შორის.[4]

[4] იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=N-eUnXiOxCc&feature=youtu.be

დემოკრატიულ მოძრაობა - ერთიან საქართველოს მიმართ დაფიქსირდა უარყოფითი გაშუქების 50 პროცენტი. რაც შეეხება დადებით ტონს, ყველაზე მეტი დადებითი ტონი დაფიქსირდა პრეზიდენტის მიმართ - 73 პროცენტი. ასევე ადგილობრივი თვითმმართველობა გაშუქდა დადებითად 46 პროცენტით და მთავრობა - 39 პროცენტით. (იხ. დიაგრამა Tone 7)

რაც შეეხება სუბიექტებზე ჟურნალისტის საუბრის ტონის შეფასებას, სურათი მსგავსია. ყველაზე ხშირად უარყოფითი ტონით ჟურნალისტები საუბრობდნენ კოალიცია ქართულ ოცნებასა და დემოკრატიულ მოძრაობა - ერთიან საქართველოზე (42% და 53% უარყოფითი ტონი). მაგალითად, 19 ივნისის სიუჟეტში „დავითაშვილის 1,100,000“ ჟურნალისტი ამბობს: „კობა დავითაშვილი ჯერ ნაციონალური მოძრაობის წევრი იყო, თუმცა, მას შემდეგ, რაც მიხეილ სააკაშვილისგან სასურველი პოსტი ვერ მიიღო, ოპოზიციაში გადაბარგდა“. 20 ივნისის სიუჟეტში „თავმოყვარე ლედი ნინო“ ჟურნალისტი ამბობს: „ყოფილ ოპონენტებთან გაერთიანება ლანძღვა-გინების ფონზე თავმოყვარე ბურჯანაძისთვის, როგორც ჩანს, ადვილად მისაღებია. ასე იყო გასულ წლებშიც, როდესაც ბურჯანაძეს ყველა ის პირი აგინებდა, რომლებსაც ის მერე სახალხოდ კოცნიდა“. ამ ციტატას მოყვება კადრები, სადაც ბურჯანაძე და ლევან გაჩეჩილაძე სახალხოდ რიგდებიან და კოცნიან ერთმანეთს. კადრზე იხატება გულები და ადევს კოცნის ხმა. ასევე ფონად გადის ფრანგული რომანტიული მუსიკა.[5]

სახალხო კრების მიმართ გამოვლინდა 18 პროცენტი უარყოფითი ტონი. რაც შეეხება, დადებით ტონს, პრეზიდენტს აქვს დადებითი ტონის ყველაზე დიდი წილი - 25 პროცენტი და ადგილობრივ თვითმმართველობას - 16 პროცენტი. (იხ. დიაგრამა Tone J7)

რეალ ტვ-ზე გვხვდება კადრებით მანიპულირების შემთხვევები, რაც უფრო ხშირად გამოყენებულია მკვეთრად უარყოფითი ან დადებითი შთაბეჭდილების შესაქმნელად. მაგალითად, 20 ივნისის სიუჟეტში „თავმოყვარე ლედი ნინო“ ნათქვამია, რომ ბიძინა ივანიშვილმაც და ნინო ბურჯანაძემაც დაივიწყეს ერთმანეთის მიმართ გამოთქმული მწვავე

[5] იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=DI8BQIbgRXs&feature=youtu.be

კრიტიკა. ამის შემდეგ ნაჩვენებია კადრი, სადაც ბურჯანაძე ხელს ართმევს პუტინს. ამით ხაზი ესმება იმ ფაქტს, რომ ბურჯანაძე-ივანიშვილის შერიგება შესაძლოა, როგორც ჟურნალისტმა აღნიშნა, „რუსული პროექტი იყოს“.

დანართი - დიაგრამები

დიაგრამა Time 1



დიაგრამა Time 2



დიაგრამა Time 3



დიაგრამა Time 4



დიაგრამა Time 5



დიაგრამა Time 6



დიაგრამა Time 7



დიაგრამა Speech 1



დიაგრამა Speech 2



დიაგრამა Speech 3



დიაგრამა Speech 4



დიაგრამა Speech 5



დიაგრამა Speech 6



დიაგრამა Speech 7



დიაგრამა Tone 1



დიაგრამა Tone J1



დიაგრამა Tone 2



დიაგრამა Tone J2



დიაგრამა Tone 3



დიაგრამა Tone J3



დიაგრამა Tone 4



დიაგრამა Tone J4



დიაგრამა Tone 5



დიაგრამა Tone J5

დიაგრამა Tone 6



დიაგრამა Tone J6



დიაგრამა Tone 7



დიაგრამა Tone J7